



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 122

2016 წლის 5 დეკემბერი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დადებითად შეფასდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ“ (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში (მისამართი: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15)

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის
სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურმა (შემდგომში "სამსახური"), ფუნქციონალური მოვალეობების შესაბამისად, 2016 წელს შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის მიერ სამსახურს 2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის პერიოდებში გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაევა 43 წვევამდელის გაწვევა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

მიმდინარე წლის 25 თებერვლიდან 21 ნოემბრამდე გაწვევის პერიოდში სამსახურმა ცენტრალურ გამანაწილებელ პუნქტში (ქ. თბილისში) მუდმივმოქმედ სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიას სამედიცინო შემოწმებისათვის წარუდგინა 109 წვევამდელი. მათგან 57 წვევამდელს მიეცა გადავადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; 2 წვევამდელი გაწვეულ იქნა ალტერნატიულ შრომით სამსახურში; სამხედრო სავალდებულო სამსახურში კი გაწვეულ იქნა 50 წვევამდელი. აქედან:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ სამსახურში - 21 წვევამდელი;
2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტში - 14 წვევამდელი;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში - 15 წვევამდელი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის გამწვევ კომისიაზე 2016 წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის პერიოდში სულ გამოცხადდა 514 წვევამდელი. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 66 წვევამდელი, გათავისუფლდა სამხედრო სავალდებულო სამსახურისაგან, ხოლო 396 წვევამდელს მიეცა გადავადება საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ შესაბამისად. აქედან:

1. სტუდენტის სტატუსით - 97 წვევამდელს;
2. სკოლის მოსწავლე - 197 წვევამდელს;
3. დედისერთა - 18 წვევამდელს;
4. ჰყავს ორი ან ორზე მეტი შვილი - 7 წვევამდელს;
5. ჰყავს ერთი შვილი, შვილის შეძენის დღიდან 3 წლის ვადით - 14 წვევამდელს;

- 6. არის მღვდელთმსახური - 2 წვევამდელს;
- 7. საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანებით - 2 წვევამდელს;
- 8. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო - 57 წვევამდელს.
- 9. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი (2000 ლარი) გადაიხადა - 2 წვევამდელმა;

ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან პერიოდულად ვღებულობთ იმ მოქალაქეთა სიას, რომლებმაც სამოქმედო ტერიტორიაზე გაიარეს რეგისტრაცია ან მოიხსნენ რეგისტრაციიდან.

სამსახური ზემოთ აღნიშნულ მოქალაქეთა სიას ადარებს მონაცემთა ბაზას, რის შედეგადაც გამოვლინდა და სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 18 უაღრიცხვო სამხედროვალდებული;

2016 წელს პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აიყვანილ იქნა 1999 წელს დაბადებული 17 წლის ასაკის 353 წვევამდელი. ამავე წლის პირველი სექტემბრიდან სამსახურმა დაიწყო სამოქმედო ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2000 წელს დაბადებული ვაჟების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისათვის მზადება. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ასაკის ვაჟების სიები და სათანადო დოკუმენტაცია.


წლის განმავლობაში სამხედრო რეზერვში ჩარიცხულ იქნა 343 სამხედროვალდებული.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულ იქნა 45 სამხედროვალდებული, მათ შორის, 34 რეზერვისტი და 11 წვევამდელი.

2016 წელს გაიცა 438 მკაცრი აღრიცხვის ბლანკი, მათ შორის, 260 წვევამდელზე - სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა და 178 რეზერვისტზე - დროებითი მოწმობა.

სამსახური სამოქმედო ტერიტორიაზე სისტემატიურად სწავლობს სამხედროვალდებულ პირთა მდგომარეობას და შესაბამისობაში მოჰყავს მონაცემთა ბაზა. ყოველწლიურად წარუდგენს დეტალურ ანგარიშს სამხედროვალდებულ პირთა შესახებ შესაბამის სამინისტროს;

სამსახური ახდენს მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, შესაბამისი ზომების მიღებას, მათში დასმული საკითხების დროულად და კანონიერ ფარგლებში გადაწყვეტას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის
სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის
სამსახურის უფროსი:  მიხეილ ბარბაქაძე

